

ავტომობილის ზეინკალი 040772

პროფესიული სტანდარტი

**I. სფეროს აღწერა**

ავტომობილის ზეინკალის მოღვაწეობის სფერო გაიგივებულია ავტომობილის აგრეგატებისა და კვანძების წესივრული ტექნიკური მდგომარეობის აღდგენასთან. ავტომობილის შეკეთების სწორი ორგანიზებისა და სამუშაოების მაღალკვალიფიციური შესრულების შედეგად შესაძლებელია გაიზარდოს ავტომობილის ხანგამძლეობა და რემონტებს შორის გარბენები, ამალდდეს მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოება, რაც საბოლოოდ ზრდის ავტომობილის ექსპლუატაციის რენტაბელობას.

**II. დასაქმების სფერო**

მოცემული სტანდარტის მიხედვით ავტომობილის ზეინკალი არის ავტოსარემონტო სამსახურის პერსონალი, რომელიც მუშაობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობის მეთვალყურეობის ქვეშ.

დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის სერვისცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობასა და მოითხოვენ ავტომემკეთებლების მრავალმხრივ პროფილიზაციას.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

#### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ავტომობილის ზეინკლის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%.

ენიჭება ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

ენიჭება ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ავტომობილის ზეინკლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

ენიჭება ავტომობილის ზეინკლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ცვლილების მიზეზები, ავტომობილის შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები და დებულებები, ავტომობილის ცალკეული აგრეგატებისა და მექანიზმების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკები, ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნები და გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები; გამოყენებული სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები და მათი შეცვლის რესურსები, ამავე დროს, ტექნიკური მომსახურების რეგლამენტირებული სამუშაოების შესრულების პერიოდულობა; შრომის უსაფრთხოების წესები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია ავტომობილის დაშლილი აგრეგატებისა და მექანიზმების სათანადო კონტროლი, მათი ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა, მომზადება და დამოუკიდებლად აწყობა ტექნოლოგიური რუკების და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად. აგრეთვე აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური დანადგარებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ავტოზეინკლის სათანადო ინფორმაციული ბაზის გამოყენება, სამუშაოს შესრულების ტექნიკური უზრუნველყოფა და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>თავისი კომპეტენციების ფარგლებში შეუძლია ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებზე ინფორმირება და კომუნიკაციების საშუალებით მათი რეალიზება; ანალოგიური საწარმოების გამოცდილების ანალიზით მოწინავე მეთოდებისა და პროგრესული ფორმების დანერგვა, განახორციელოს იგი ქართულ და უცხოურ ენებზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>აქვს უნარი ავტომობილის ზეინკლის პროფესიის მიხედვით გაიღრმავოს ცოდნა ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ და აითვისოს ახალი მოწინავე ტექნოლოგიები.</p>

ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს ავტოზინკლის ტექნიკური და პრაქტიკული საქმიანობის შინაარსსა და ღირებულებებს. მოწინავე ტექნოლოგიების საფუძველზე ახორციელებს მას.
--------------	---	---

**ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის დეტალების ურთიერთშეცვლადობის, ჩასმებისა და დაშვებების პრინციპები, აქვს სხვადასხვა ფირმისა და მოდელის ავტომობილების კონსტრუქციისა და მათი შეკეთების თავისებურებების ცოდნა. შეუძლია დეტალების და მარტივი კონსტრუქციული ელემენტების ესკიზების შედგენა და მათი წაკითხვა ნახაზების მიხედვით, კვანძის აწყობა ტექნიკური პირობების სრული დაცვით; იცნობს სამუშაოთა შესრულების ოპერაციულ სისტემას და მომსახურების რეჟიმებს, შრომის ორგანიზაციას და სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობის პრინციპებს; აქვს მეწარმეობისა და ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა; დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ოპერატორის მიერ გამოვლენილი უწყისივრობების აღმოფხვრა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გრაფიკის შედგენა; ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში მტყუნებების აღრიცხვა და დაჯგუფება; 1-2 საფეხურის ავტოზინკლების ბრიგადის სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების პოსტის პასპორტის შედგენა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ტექნიკური მომსახურების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისას ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება, შეფერხებებისა და წინაღობების მიზეზების ანალიზი და სათანადო პროფილაქტიკური სამუშაოების წარმართვა.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	აქვს უნარი გამოიყენოს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები კომპიუტერული კომპეტენციის ფარგლებში. შეუძლია ავტომობილის ზეინკლის პროფესიასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე გამართული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია. შეუძლია მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში. იყენებს დარგის პროფესიულ პროგრამულ უზრუნველყოფას.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	აქვს უნარი ახალი სასწავლო პროგრესული მიმართულებების ათვისების პროცესში გაითვალისწინოს ზეინკლისადმი წაყენებული მოთხოვნები კონტროლის, დიაგნოსტიკის და უწყისივრობების აღმოფხვრის მხრივ.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აქვს ოპტიმიზირებული ტექნოლოგიური პროცესის დანერგვის ოპერატიული უნარი. შეუძლია კოლეგების მობილიზება, მათი აქტივობის გაზრდა და სამუშაოს მაღალი პასუხისმგებლობით შესრულება.

**ავტომობილის ზეინკლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის თანამედროვე ავტომობილების წარმოების და ექსპლუატაციის მოწინავე ტექნოლოგიები. იცნობს საბორტე დიაგნოსტიკის მეთოდებსა და ფორმებს, უწყისივრობის აღმოჩენის კომპიუტერულ პროგრამებს, დიაგნოსტიკურ ნიშნებსა და პარამეტრების ნომენკლატურას მექანიზმებისა და კვანძების მიხედვით. შეუძლია რთული კონსტრუქციული ნახაზების წაკითხვა და აგრეგატების, კვანძებისა და მექანიზმების აწყობა, შემოწმება და კონტროლი. უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოპოვება კონსტრუქციის და ექსპლუატაციის წესების შესახებ; ფლობს ლითონთმცოდნეობის, საექსპლუატაციო მასალების და თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძვლებს; გაცნობიერებული აქვს შრომის მოწყობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის შედეგები, სასურველ დონეზე იცნობს მეწარმეობისა და მენეჯმენტის საფუძვლებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის დადგენა თანამედროვე საკონტროლო და სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებით; ავტომობილის, მისი აგრეგატების, მექანიზმებისა და კვანძების მტყუნებების, უწყისივრობების გამოვლინება და აღმოფხვრა რეგულირებით ან დეტალების შეცვლის გზით; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გრაფიკის კორექტირება რეალური პირობების

		გათვალისწინებით; ავტომობილების ტექნიკური ექსპლუატაციის პროცესში მტყუნებებზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; 1-3 საფეხურის ავტომშემკეთებლების ბრიგადის ორგანიზება და ხელმძღვანელობა; ავტომობილების ტექნიკური მომსახურების პოსტის მოწყობა და სამუშაოების ორგანიზაცია.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	აქვს უნარი ტექნიკური მომსახურების პროცესში ამოიცნოს წამოჭრილი პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის გზები; შეუძლია ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	აქვს უნარი დაამყაროს საინფორმაციო კავშირი და ურთიერთობა კოლეგებთან და კომუნიკაციის მეშვეობით გააუმჯობესოს ტექნოლოგიები. შეუძლია ავტომობილის ტექნიკური მომსახურების საწარმოში საჭიროებისამებრ გუნდის შექმნა და მისი ხელმძღვანელობა.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	აქვს უნარი ავტომობილის ზეინკლის პროფესიის შესწავლისას მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დამოუკიდებლად გაიღრმავოს სხვადასხვა მარკის ავტომობილებში გამოვლენილი უწყესივრობების აღმოფხვრისას. გაერკვეს პროცესების მენეჯმენტის სიახლეებში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აქვს უნარი სათანადოდ შეაფასოს თავისი პროფესიული საქმიანობის დონე, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მის რეკლამირებასა და ათვისებას.